

შპს „ვილბურ ჰოლდინგი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

1.	კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
2.	კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .	3
3.	კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
4.	კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
5	კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები	12
6.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დანართები	14
7.	საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
8.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

1. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში


	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	8	195 658	279 492
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	463 745	617 749
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		744 472	367 707
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>1 403 875</u>	<u>1 264 948</u>
ძირითადი საშუალებები	10	1 895 043	2 039 228
სხვა არამატერიალური აქტივები		14 368	34 455
გრძელვადიანი ინვესტიციები	11	1 224 354	539 535
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>3 133 765</u>	<u>2 613 218</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>4 537 640</u>	<u>3 878 166</u>
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	514 143	88 503
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		-	5 887
საგადასახადო ვალდებულებები		38 739	26 317
სასესხო ვალდებულებები	13	91 998	233 141
სულ ვალდებულებები		<u>644 880</u>	<u>353 848</u>
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4 018 210	2 381 179
გაუნაწილებელი მოგება	-	125 450	1 046 687
<u>სულ მშობელ საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი</u>		<u>3 892 760</u>	<u>3 427 866</u>
არამაკონტროლებელი წილი			96 452
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>3 892 760</u>	<u>3 524 318</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>4 537 640</u>	<u>3 878 166</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე

1. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	8	195 658	279 492
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	463 745	617 749
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		744 472	367 707
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>1 403 875</u>	<u>1 264 948</u>
ძირითადი საშუალებები	10	1 895 043	2 039 228
სხვა არამატერიალური აქტივები		14 368	34 455
გრძელვადიანი ინვესტიციები	11	1 224 354	539 535
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>3 133 765</u>	<u>2 613 218</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>4 537 640</u>	<u>3 878 166</u>
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	514 143	88 503
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		-	5 887
საგადასახადო ვალდებულებები		38 739	26 317
სასესხო ვალდებულებები	13	91 998	233 141
სულ ვალდებულებები		<u>644 880</u>	<u>353 848</u>
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4 018 210	2 381 179
გაუნაწილებელი მოგება	-	125 450	1 046 687
<u>სულ მშობელ საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი</u>		<u>3 892 760</u>	<u>3 427 866</u>
არამაკონტროლებელი წილი			96 452
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>3 892 760</u>	<u>3 524 318</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>4 537 640</u>	<u>3 878 166</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე



2. კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	7,1	844 320	2 144 997
სხვა შემოსავალი	7,2		39 124
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,1	- 512 428	- 775 210
თანამშრომლის ხელფასები და გასამრჯელოები	-	319 308	- 509 656
ცვეთა და ამორტიზაცია	-	84 037	- 33 698
სხვა საოპერაციო ხარჯები	7,3	- 427 240	- 720 031
ფინანსური დანახარჯები			- 9 860
ფინანსური აქტივის გაუფასურება	-	45 911	
მოგება დაბეგვრამდე	-	<u>544 604</u>	<u>135 666</u>
მოგების გადასახადი	-	4095	-
მიმდინარე წლის მოგება	-	<u>548 699</u>	<u>135 666</u>
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
სხვა	-	719 890	
მთლიანი სრული შემოსავალი	-	<u>1 268 589</u>	<u>135 666</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე



2. კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	7,1	844 320	2 144 997
სხვა შემოსავალი	7,2		39 124
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,1	- 512 428	- 775 210
თანამშრომლის ხელფასები და გასამრჯელოები	-	319 308	- 509 656
ცვეთა და ამორტიზაცია	-	84 037	- 33 698
სხვა საოპერაციო ხარჯები	7,3	- 427 240	- 720 031
ფინანსური დანახარჯები			- 9 860
ფინანსური აქტივის გაუფასურება	-	45 911	
მოგება დაბეგვრამდე	-	<u>544 604</u>	<u>135 666</u>
მოგების გადასახადი	-	4095	-
მიმდინარე წლის მოგება	-	<u>548 699</u>	<u>135 666</u>
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
სხვა	-	719 890	
მთლიანი სრული შემოსავალი	-	<u>1 268 589</u>	<u>135 666</u>

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე

3. კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 436 596	646 306	-	3 082 902
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	319 574			319 574
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		142 666		142 666
განაწილებული დივიდენდი		(20 824)		(20 824)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 756 170	768 148	-	3 524 318
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	1 637 030			1 637 030
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(548 699)		(548 699)
დეკონსოლიდაციიდან მოგება/ზარალი		(719 890)		(719 890)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 393 200	(500 441)	-	3 892 759

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე

3. კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 436 596	646 306	-	3 082 902
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	319 574			319 574
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		142 666		142 666
განაწილებული დივიდენდი		(20 824)		(20 824)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 756 170	768 148	-	3 524 318
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	1 637 030			1 637 030
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(548 699)		(548 699)
დეკონსოლიდაციიდან მოგება/ზარალი		(719 890)		(719 890)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 393 200	(500 441)	-	3 892 759

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე



**4. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში**

		2024		2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	814 038	-	188 061
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	143 779	-	254 322
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები		891 160		461 461
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-	66 657		19 078
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	-	17 177	-	10 578
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		279 492		270 992
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		195 658		279 492

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე

4. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

		2024		2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	814 038	-	188 061
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-	143 779	-	254 322
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები		891 160		461 461
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-	66 657		19 078
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	-	17 177	-	10 578
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		279 492		270 992
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		195 658		279 492

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერი.
დირექტორი : ნიკა ურუშაძე



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვილბურ ჰოლდინგი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N37მ, სართული 19, ბ. N56 .

„კომპანია“-ის ეკონომიკური საქმიანობის სახეა საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები.

შპს „ვილბურ ჰოლდინგი“ რეგისტრირებულია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2020 წლის 01 აგვისტოს. კომპანიის დამფუძნებლები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

- კონსტანტინე ჭავჭავაძე 25 %- იანი წილით;
- გივი გურასპაული 25%- იანი წილით;
- გიორგი ხეცურიანი 25%- იანი წილით;
- ზურაბ ჭილვარია 25% -იანი წილით.

ინფორმაცია კომპანიის შვილობილი საწამოების შესახებ:

საიდენტიფიკაციო ნომერი	რეგისტრაციის თარიღი	დასახელება	რეგისტრაციის ქვეყანა	წილი რაოდენობა	მენიშვნები	საქმიანობის სახე	ფუნქციონირება
405237097	03.11.2017	შპს ვივა ჯგუფი	საქართველო	72%	ფიზიკური პირები	საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით	ფუნქციონირებადი
405449698	16.03.2021	შპს ვინგს	საქართველო	100%		საბითუმო ვაჭრობა აუდიო- და ვიდეომონიტორიზაციით სპეციალიზირებული მაღაზიებში, სხვა ელექტრონიკის მონიტორიზაციის წარმოება	ფუნქციონირებადი
404959675	05.10.2012	შპს კრეატივ ელსი	საქართველო	83,5%		სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა	ფუნქციონირებადი
405144277	07.04.2016	შპს სამოცდათორე მეტი	საქართველო	100%			ფუნქციონირებადი
404593686	26.02.2020	შპს ბოტანიკ ინ	საქართველო	88%	ფიზიკური პირები	სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.	ფუნქციონირებადი

405668148	29.12.2023	შპს გიგლს კონცეპტ	საქართველო	100%		საქალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში	ფუნქციონირებადი
-----------	------------	-------------------	------------	------	--	---	-----------------

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად 2025 წლის 25 სექტემბერს.

2. საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. „კომპანია“ აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებად საწარმომ. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის ასე მოიქცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მის ფასს სტანდარტის მოთხოვნების დაცვით

3.2 შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საანგარიშო თარიღისთვის საქართველოს ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად წლის ბოლოს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშზე.

2023 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
31.12.2023	2.6894	2.9753
31.12.2023	2.8068	2.9306

3.3 ინვესტიციები შეიღობილ საწარმოში

შეიღობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს „კომპანია“. კონტროლი ნიშნავს შეიღობილ საწარმოში ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

შეიღობილი საწარმოების აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულებით იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია მათზე მოიპოვებს კონტროლს და აღირიცხება მანამ, სანამ მათზე კონტროლს არ დაკარგავს.

3.3 ამონაგების აღიარება

ჯგუფისთვის ამონაგები არის შემოსავალი, რომელსაც იღებს ადგილობრივ ბაზარზე სამედიცინო აპარატურის რეალიზაციიდან. ასევე მათი მონტაჟი და დემონტაჟი.

ჯგუფის მიერ ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს ყველანაირ საავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას. ჯგუფი ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიან თანხას.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციას საიმედოდ აფასებს მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
 - ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
 - გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს და
 - დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
- თუ შეუძლებელია მომსახურების განვევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ „კომპანია“ ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების, სასესხო მოთხოვნების/ვალდებულებების და ინვესტიციების სახით.

ფინანსურ აქტივს და ფინანსურ ვალდებულებას ჯგუფი პირველად აღიარებს გარიგების ფასით. ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში ჯგუფი მოთხოვნას აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც სახელშეკრულებო თანხის ტოლია. ხოლო გრძელვადიანი მოთხოვნების შემთხვევაში მოთხოვნა აღიარდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები აღიარდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში ვალდებულებას კომპანია აღიარებს მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

ჯგუფი ყოველი ფინანსური აქტივისათვის აფასებს გაუფასურებას ან თანხის ამოღების შეუძლებლობას.

ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარება წყდება თუ „კომპანიისთვის“ ცნობილი გახდა გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენები:

- ა) ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
- ბ) დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

გ) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები.

3.5 ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც „კომპანია“ მიიღებდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

3.6 ძირითადი საშუალება

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად. ძირითად საშუალებაზე სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია შემდეგნაირად :

დასახელება	მომსახურების წლები
1. შენობები	60-75 წელი
2. ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
3. სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
4. მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
5. ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-12 წელი

თუ არსებობს ნიშანი იმისა , რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.7 არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. კომპანია არამატერიალური აქტივის სახით ფლობს საბუღალტრო პროგრამას.

3.8 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

3.9 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში „კომპანიის“ მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.10 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც „კომპანია“ ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდისთვის. „კომპანია“ საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და ნებისმიერ დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას „კომპანია“ აფასებს ყოველი საანგარიშო თარიღისათვის რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, „კომპანია“ ამ აქტივს აღრიცხავს მის ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების შესაბამისად, მანამ სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანას ან პირუკუ „კომპანია“ ახდენს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონება პირველად დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს, ან პირიქით, როდესაც პირველად ვეღარ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

3.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების, არამატერიალური აქტივები და სახვა აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ჯგუფის მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.13 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

4. გადასახადები

4.1 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. ახალი ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

4.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

5. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები

ანარიცხები

ჯგუფი ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და
- გ) შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ჯგუფი ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მის ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივი

ჯგუფი არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

5 კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

შენიშვნა 7.1

	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	844 320	2 144 997
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	- 512 428	- 775 210
მოგება	<u>331 892</u>	<u>1 369 787</u>

შენიშვნა 7.2

სხვა შემოსავალი	<u>2024</u>	<u>2023</u>
კურსთასხვაობით მიღებული შემოსავალი	-	2274
მეკავშირე სანარმოოდან მიღებული დივიდენდი	-	36850
<u>ჯამი</u>	<u>0</u>	<u>39124</u>

შენიშვნა 7.3

ხარჯები მოიცავს შეძენილ მომსახურებას და სხვა საოპერაციო ხარჯებს. მათი შემადგენლობა ასეთია:

შენიშვნა 7.3

	<u>2024</u>	<u>2023</u>
მიწოდების ხარჯი	- 2 130,51	- 158 108,63
საკანცელარიო ხარჯი	- 2 727,00	- 11 635,63
საიტარო ქირა	- 137 623,00	- 255 304,82
ბანკის საკომისიო	- 15 585,00	- 38 988,34
მივლინების ხარჯი		- 68 087,79
კომუნიკაციის ხარჯი	- 3 582,45	- 1 601,15
რემონტი	- 8 070,49	- 2 178,38
კომპიუტერის ხარჯი	- 2 011,00	- 11 642,50
საკონსულტაციო ხარჯი	- 157 952,01	- 15 012,90
კომუნალური ხარჯი	- 6 195,60	- 5 843,63
საგადასახადო ხარჯი	- 3 494,51	- 14 236,66
საწვავის ხარჯი		- 10 059,35
რეკლამის ხარჯი	- 32 064,00	- 99 535,19
დაზღვევა	- 650,00	- 8 903,22
წარმომადგენლობითი ხარჯი	- 160,00	-
საკურსო სხვაობა		- 18 892,81
გარანტიის საკომისიო ხარჯი		-
ოფისის ხარჯი	- 57 018,52	
<u>ჯამი</u>	<u>-427240,09</u>	<u>-720031</u>

6. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დანართები

შენიშვნა 8

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
ფული სალაროში		-
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	195 658	279 492
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში ვალუტაში		-
ჯამი	<u>195 658</u>	<u>279 492</u>

შენიშვნა 9

საფაქრო და სხვა მოთხოვნები	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	83 613	409 966
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	257 627	168 877
სხვა მოკლევადიანი აქტივები	122 505	38 906
ჯამი	<u>463 745</u>	<u>617 748,99</u>

შენიშვნა 10

გრძელვადიანი ინვესტიციები		
დასახელება	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებთან	754 483,55	129 800,00
კაპიტალის შევსებაზე მოთხოვნა	469 870,00	105 050,00
არამაკონტროლებელი წილის შეძენა		304 685,00
ჯამი	<u>1 224 353,55</u>	<u>539 535,00</u>

შენიშვნა 12

საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
საფაქრო ვალდებულება	282 598	85029
სხვა ვალდებულებები	231 545	3474
ჯამი	<u>514 143</u>	<u>88503</u>

შენიშვნა 10

	მინა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტი საშუალება	ჯამი
<u>ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 01 მდგომარეობით</u>	<u>96 567,80</u>	<u>27 334,32</u>	<u>938 999,84</u>	<u>304 601,84</u>	<u>40 145,05</u>	<u>20 891,11</u>	<u>1 428 539,96</u>
შეძენა 2023 წლის საანგარიშო პერიოდში	16 538,40	10 000,00	574 843,70	12 463,06	30 557,77	-	644 402,93
დარიცხული ცვეთა	-	-	- 20 426,84	- 5 055,30	- 6 986,99	- 1 228,89	- 33 698,02
გასვლა	-	-	-	-	- 16,85	-	- 16,85
<u>ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	<u>113 106,20</u>	<u>37 334,32</u>	<u>1 493 416,70</u>	<u>312 009,60</u>	<u>63 698,98</u>	<u>19 662,22</u>	<u>2 039 228,02</u>
შეძენა 2024 წლის საანგარიშო პერიოდში				22 673,00	2 681,00		25 354,00
დარიცხული ცვეთა			- 20 298,96	- 57 599,05	- 4 664,32	- 1 474,67	- 84 037,00
გასვლა				- 31 252,67	- 54 249,35		- 85 502,02
<u>ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	<u>113 106,20</u>	<u>37 334,32</u>	<u>1 473 117,74</u>	<u>245 830,88</u>	<u>7 466,31</u>	<u>18 187,55</u>	<u>1 895 043,00</u>

7. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას აღვილი არ ჰქონია.

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი : ნიკა ურუშაძე

7. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას აღვილი არ ჰქონია.

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი : ნიკა ურუშაძე

